**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატრიული კვლევების მომსახურების (მრავალწლიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

8. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა **2010 წლის 12 ნოემბრიდან 2010 წლის 01 დეკემბრის 17:00 საათამდე** სატენდერო კომისიის აპარატში მისამართზე. ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, VI სართული, **სატენდერო მოსაკრებლის (150 ლარის ოდენობით)** გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ზე).

12. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე, ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, VI სართული, ნინო კიკვაძე, ნანა ლომჯარია, ტელეფონი - (995-32) 65-25-13; 65-58-58

**სატენდერო კომისია**

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის გამგეობა

<u>სატენდერო დოკუმენტაცია</u>

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევების მომსახურება (მრავალწლიანი)

თბილისი

2010 წელი

სატენდერო დოკუმენტაციის
შემადგენლობა

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის (ი.ტ.მ.)
2. საბაზისო მონაცემთა ნუსხა (ს.მ.ნ.)
3. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და ვადები
4. ტექნიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა
5. აფიდავიტი
6. სატენდერო წინადადება
7. სატენდერო წინადადების საბანკო გარანტიის ფორმა
8. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა
9. ხელშეკრულების საერთო პირობები
10. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები
11. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის ფორმა

დამატებითი დოკუმენტაცია:

1. ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ (დან. №1);
2. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დან.№2);
3. ინფორმაცია 2009 და 2010 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ; (დან.№3);
4. ინფორმაცია სუბკონტრაქტორთა შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში დან. №4)

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

მოცემული ინსტრუქცია არის ტიპიური ინსტრუქცია ტენდერის მონაწილეთათვის და იგი წარმოადგენს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დანართს. დაუშვებელია მასში რაიმე შესწორების შეტანა. ნებისმიერი სახის შესწორება, დაზუსტება და დამატებების შეტანა ხორციელდება საბაზისო მონაცემთა ნუსხაში (ს.მ.ნ.).

## 1. დაფინანსების წყარო.

1.1 ს.მ.ნ.-ში მოცემული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის (შემდგომში შემსყიდველი) მითითებულ დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებულია ასიგნებები, რომლის საშუალებითაც მოცემული ორგანიზაცია განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას და ამისათვის ატარებს ტენდერს.

## 2. შესყიდვებში მონაწილეთა უფლებამოსილება.

2.1 მოცემულ ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს შესყიდვებში მონაწილეობაზე უფლებამოსილ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, აქ მოცემული გამონაკლისი შემთხვევების გარდა:

ა) ტენდერში მონაწილეები არც საქმიანობით და არც ნათესაური კავშირით არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი პირდაპირ ან ირიბად იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან, ან მათ ფილიალებთან, რომლებიც მიიწვია შემსყიდველმა მოცემული სამუშაოს შესყიდვებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების და სხვა დოკუმენტების მოსამზადებლად;

ბ) ტენდერში მონაწილეებს და მათ ხელმძღვანელებს არ უნდა ჰქონდეთ ფინანსური ან ნათესაური კავშირები სატენდერო კომისიაში შემავალ პირებთან;

გ) ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა ქვეყნის წარმომადგენელ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული შემთხვევების გარდა.

დ) ტენდერში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან ის პირები, რომლებიც სააგენტოს მიერ წარმოებულ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში არიან შეყვანილნი. *(15.01.2009 N01)*

## 3. ტენდერში მონაწილეობის ღირებულება.

3.1 ტენდერში მონაწილე თავის თავზე იღებს საკუთარი სატენდერო წინადადების მომზადებასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ხოლო შემსყიდველი, არც ერთი შემთხვევაში არ აგებს პასუხს ამ ხარჯებზე, შესყიდვების ჩატარების და შედეგების ხასიათის მიუხედავად. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც შემსყიდველი შეწყვეტს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას და/ან არ გააფორმებს ხელშეკრულებას ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან, ასეთ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე პრეტენდენტს უბრუნებს გადახდილ სატენდერო მოსაკრებელს.

## 4. სატენდერო კომისია და სატენდერო კომისიის აპარატი

4.1 შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა მოცემულია ს.მ.ნ.-ში.

4.2 სატენდერო კომისიის უფლება-მოვალეობებია:
სატენდერო პროცედურების წარმართვა, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა, რომელთანაც უნდა დაიდოს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

4.3 სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციებია:
ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციის, ხელშეკრულების ფორმის შედგენა და ასევე ტენდერის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ორგანიზაციული საკითხების მოგვარების უზრუნველყოფა.

## 5. სატენდერო დოკუმენტაცია

5.1 შესყიდვებში მონაწილეობის მსურველის მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შემსყიდველი მოთხოვნისთანავე გადასცემს მას სატენდერო დოკუმენტაციას. *(21.12.2009 N5)*

5.2 სატენდერო დოკუმენტაცია არის დოკუმენტთა პაკეტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, სატენდერო პროცესის და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დასადები ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე.

5.3 სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას: *(12.08.2010 N 6)*

ა) ინსტრუქციას ტენდერში მონაწილეთათვის (ი.ტ.მ.);

ბ) საბაზისო მონაცემთა ნუსხას (ს.მ.ნ.);

გ) სამუშაოს შესრულების ვადას;

დ) ტექნიკურ პირობებს;

ე) ხელშეკრულების საერთო პირობებს;

ვ) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს;

ზ) სატენდერო წინადადების ფორმას და ხარჯთაღრიცხვას;

თ) სატენდერო წინადადების საბანკო გარანტიის ფორმას (გარანტიის ამ სახის გამოყენების შემთხვევაში);

ი) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმას;

კ) ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის ფორმას(გარანტირების ასეთი ფორმის გამოყენების შემთხვევაში);

ლ) ნახაზებს და სპეციფიკაციებს;

მ) აფიდავიტის ფორმას;

ნ) ს.მ.ნ.-ში მითითებულ სხვა დამატებითი ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

5.4 იგულისხმება, რომ პრეტენდენტი შეისწავლის სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ ყველა ინსტრუქციას, ფორმას და პირობას. სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენამ, ან ისეთი სატენდერო წინადადების წარდგენამ, რომელიც არ პასუხობს შესყიდვების დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შეიძლება გამოიწვიოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

## 6. სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა

6.1 შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს წერილობითი თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სატენდერო კომისია განმარტავს და აზუსტებს სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის პროცედურებთან და/ან ობიექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც ფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და ერთდროულად ეგზავნება შესყიდვებში მონაწილეობის ყველა მსურველს სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დამთავრებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე. *(21.12.2009 N5)*

6.2 იმ შემთხვევში თუ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა სატენდერო დოკუმენტაცია გაიტანა 6.1 მითითებული ვადის გასვლის შემდეგ სატენდერო დოკუმენტაციის დამატება მას გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად, ამასთან, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს აღარა აქვს უფლება მიმართოს კომისიას სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის პროცედურებთან და ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაციის განმარტებისა და დაზუსტების მოთხოვნით. სატენდერო დოკუმენტაციის დამატება არ უნდა ცვლიდეს სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსს. *(21.12.2009 N5)*

## 7. სატენდერო დოკუმენტაციის განმარტება

7.1 შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ, სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ განმარტების მიღების მიზნით, შეუძლია მიმართოს სატენდერო კომისიას წერილობით, რომელიც უნდა გაიგზავნოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებულ მისამართზე. *(21.12.2009 N5)*

7.2 სატენდერო დოკუმენტაციის განმარტებასთან დაკავშირებულ ყველა განაცხადს შემსყიდველი პასუხობს წერილობით. შემსყიდველის წერილობითი პასუხის ასლები დაეგზავნება/გადაეცემა შესყიდვებში მონაწილების ყველა მსურველს. *(21.12.2009 N5)*

## 8. სატენდერო წინადადების ენა

8.1 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია, შედგენილ უნდა იყოს ქართულ და ს.მ.ნ.-ში მითითებულ საერთაშორისო სავაჭრო

პრაქტიკაში აღიარებულ ენაზე. შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანმდევი დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება იყოს დაწერილი სხვა ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ზუსტი თარგმანი ქართულ და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებულ სხვა ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული საკონკურსო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

## 9. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და მასში შემავალი დოკუმენტაცია

9.1 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ბ) სატენდერო წინადადების, აფიდავიტის და ხარჯთაღრიცხვის შევსებულ ფორმას; *(3.08.2010 N 5)*

გ) მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრულ აღწერილობას;

დ) სამუშაოების შესრულების მეთოდებს, გრაფიკებს, ნახაზებსა და სპეციფიკაციებს;

ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დამადასტურებელ მოწმობას (გარანტიის გამოყენების შემთხვევაში);

ვ) ასევე იმ სხვა ინფორმაციასა და დოკუმენტაციას, რომელიც მოცემულია ს.მ.ნ.-ში.

9.2 პრეტენდენტი ავსებს, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ, სატენდერო წინადადების ფორმას, სადაც აღწერს მიწოდების ობიექტს, მის მოცულობას, ერთეულისა და ჯამურ ფასს, შესრულების პირობასა და ვადებს.

9.3 პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ფასები ხარჯთაღრიცხვის ჩამონათვალში მოცემულ სამუშაოთა ყველა სახეობაზე. ხარჯთაღრიცხვაში გაუფასებელი სამუშაოები დამკვეთის მიერ არ ანაზღაურდება მათი შესრულების შემთხვევაში და ჩაითვლება, რომ ეს სამუშაოები დაიფარება სხვა სამუშაოების ხარჯზე.

9.4 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ან რამდენიმე სატენდერო წინადადება, ერთ ან ორ კონვერტად, იმისდა მიხედვით, თუ რა არის მითითებული ს.მ.ნ.ში. *(15.01.2009 N01)*

## 10. მიწოდების ობიექტის აღწერილობა

10.1 სატენდერო წინადადებაში სამუშაოები აღწერილი უნდა იყოს მკაფიოდ და გასაგებად.

10.2 მიწოდების ობიექტის აღწერისათვის გამოყენებული ტექსტური მასალები, სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, და სხვა უნდა ასახავდეს შესასრულებელი სამუშაოს ობიექტურ ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს.

## 11. სატენდერო წინადადების ფასი

11.1 სატენდერო წინადადებაში, სრულ ღირებულებასთან ერთად მისაწოდებელი ობიექტის თითოეული ერთეულისათვის ნათლად უნდა იყოს მითითებული ფასი ტრანსპორტირების, დაზღვევის, გადასახადებისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, იმისდა მიხედვით, თუ რა არის გათვალისწინებული **ს.მ.ნ.**-ში.

11.2 სატენდერო წინადადების საერთო ღირებულება და გასაწევი სამუშაოს თითოეული ერთეულის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ს.მ.ნ.-ში მითითებულ ვალუტაში.

## 12. სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადა

12.1 სატენდერო წინადადებები ძალაში უნდა დარჩეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ვადის განმავლობაში.

12.2 განსაკუთრებულ შემთხვევებში შემსყიდველს შეუძლია თხოვნით მიმართოს პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურებისა და/ან მისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე. ასეთი თხოვნა და მისი პასუხი ფორმდება წერილობით. დადებითი პასუხის შემთხვევაში სატენდერო წინადადებაზე წარმოდგენილი გარანტიის *(მისი*

*გამოყენების შემთხვევაში)* მოქმედების ვადაც შესაბამისად უნდა გაგრძელდეს. პრეტენდენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს სატენდერო წინადადების ვადის გაგრძელებაზე, მაგრამ ეს გამოიწვევს მისი სატენდერო პროცედურებიდან გამოსვლას, თუმცა იგი ამით არ დაკარგავს წარმოდგენილ გარანტიას. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში პრეტენდენტს არ აქვს უფლება და იგი არ არის ვალდებული ცვლილებები შეიტანოს საკუთარ სატენდერო წინადადებაში.

## 13. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფა

13.1 პრეტენდენტის ქმედებასთან დაკავშირებული რისკისაგან დაზღვევის მიზნით ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების გარანტირების მექანიზმი ს.მ.ნ.-ში მითითებული ფორმითა და ოდენობით.

13.2 სატენდერო წინადადების გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა: *(3.08.2010 N 5)*
ა) როცა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება 1.000.000 ლარს.
ბ) თუ შესასყიდი ობიექტი გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით და/ან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ვადას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, მიუხედავად შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებისა.

13.3 პრეტენდენტმა აღნიშნული გარანტია უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში.

13.4 საგარანტიო მოთხოვნა თანაბრად ეხება ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს.

13.5 შემსყიდველი ტენდერში მონაწილე პირებს გარანტიების დამადასტურებელ დოკუმენტებს დაუბრუნებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების დღიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

13.6 გარანტიების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერში მონაწილე პირებს დაუბრუნდებათ:
ა) თუ შემსყიდველი ორგანიზაცია შეაჩერებს ან შეწყვეტს შესყიდვის განხორციელებას; *(15.01.2009 N01)*
ბ) თუ გამარჯვებულ პირთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება არ დაიდო და სატენდერო კომისია ატარებს სატენდერო წინადადებების ხელმეორე განხილვას, რომელშიც მონაწილეობაზე პრეტენდენტი უარს აცხადებს;
გ) თუ პრეტენდენტი უარს განაცხადებს შემსყიდველის თხოვნაზე გააგრძელოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა ან ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელებას.

13.7 გარანტია პრეტენდენტს არ დაუბრუნდება:
ა) თუ იგი უარს განაცხადებს ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
ბ) თუ გამარჯვების შემთხვევაში არ დადებს შემსყიდველ ორგანიზაციასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას;
გ) თუ მოხდება მისი დისკვალიფიკაცია შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

13.8 შესყიდვებში მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს შემსყიდველის გადაწყვეტილება გარანტიის დაუბრუნებლობის თაობაზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. სატენდერო წინადადების წარდგენის ფორმა, ადგილი და დრო

14.1 თუ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით არ არის განსაზღვრული წინადადებების ორ კონვერტად წარმოდგენის მოთხოვნა, მაშინ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, ერთ დახურულ კონვერტში. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება. *(15.01.2009 N01)*

14.2 სატენდერო წინადადება, საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად უნდა წარედგინოს შემსყიდველ სმნ-ში მითითებულ დროსა და მისამართზე. *(21.12.2009 N5)*

14.3 სატენდერო წინადადებების მიღებასა და მათ რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის მითითებით) აწარმოებს სატენდერო კომისიის აპარატი სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ საათებში, ვადებსა და მისამართზე.

14[1]. ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დრო და ადგილი: *(21.12.2009 N5)*

14[1].1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვროს ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დრო და ადგილი.

**15. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები**

15.1 ყველა სატენდერო წინადადება, რომლებსაც სატენდერო კომისია მიიღებს ამ ინსტრუქციის მე-14 მუხლში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, უარყოფილი იქნება და დაუბრუნდება პრეტენდენტს გაუხსნელად.

15.2 დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებების შემოსვლის თარიღსა და დროს სატენდერო კომისიის აპარატი ასახავს შემოსული სატენდერო წინადადებების სარეგისტრაციო დოკუმენტში.

**16. სატენდერო წინადადებებში ცვლილებების შეტანა და მათი უკან გატანა**

16.1 პრეტენდენტს ულება აქვს სატენდერო წინადადებების გახსნამდე წერილობით მიმართოს სატენდერო კომისიას სატენდერო წინადადების გატანის, მისი შეცვლის ან მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

16.2 სატენდერო წინადადებებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მათი მიღების ვადის დასრულების შემდეგ გარდა ამ ინსტრუქციის 19.2 პუნქტში მოყვანილი შემთხვევისა.

**17. შემსყიდველის მიერ სატენდერო წინადადების გახსნა**

17.1 სატენდერო წინადადებები გაიხსნება, მათი მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ს.მ.ნ.-ში მითითებულ თარიღსა, საათსა და მისამართზე.

17.2 წინადადებების გახსნისას გამოცხადდება ტენდერში მონაწილეების ვინაობა, სატენდერო წინადადებების და ალტერნატიული სატენდერო წინადადებების (თუ მათი წარმოდგენა დასაშვებია) ფასები (ლოტების მიხედვით), შეღავათები (ფასდაკლებები). ზემოთ მოცემული ინფორმაცია აისახება შესაბამისი ოქმის სახით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოთხოვნილი არ არის სატენდერო წინადადებების ორ კონვერტად წარმოდგენა). *(15.01.2009 N01)*

17.3 წინადადებების გახსნისას არც ერთი წინადადება არ იქნება უარყოფილი, გარდა დაგვიანებული წინადადებებისა და იმ ორ კონვერტად წარმოდგენილი წინადადებებისა, რომელთა პირველი კონვერტის გახსნის დროს აღმოჩნდება, რომ საკვალიფიკაციო მონაცემები შეუსაბამოა განცხადებით გაკეთებულ მოთხოვნებთან. ასეთი წინადადებები გაუხსნელად დაუბრუნდებათ მათ წარმომდგენ პირებს. თუ პრეტენდენტი წარმოადგენს რამდენიმე კონვერტს (შესაბამისი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში), ან/და წარმოდგენილ კონვერტის/კონვერტების გახსნის შემდეგ აღმოჩნდება რამდენიმე სატენდერო წინადადება, სატენდერო კომისია არ განიხილავს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ არც ერთ წინადადებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით დასაშვებია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა. *(15.01.2009 N01)*

17.4 სატენდერო წინადადებები, რომლებიც არ იქნა გახსნილი და ხმამაღლა წაკითხული წინადადებების გახსნის დროს, არ იქნება მიღებული შემდგომი შეფასებისათვის, გარემოებებისდა მიუხედავად.

17.5 სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ სატენდერო კომისია დაადგენს სატენდერო წინადადებების განხილვის ვადებს.

**18. სატენდერო წინადადებების დაზუსტება**

18.1 სატენდერო წინადადებების შერჩევის ან შეფასების დროს აღმოჩენილი გაუგებრობების განმარტების მიზნით შემსყიდველს შეუძლია სთხოვოს ტენდერში მონაწილეს მისი სატენდერო წინადადების დაზუსტება. თხოვნა დაზუსტების შესახებ და პასუხი მასზე უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით და ამასთანავე დაუშვებელია ისეთი თხოვნების, წინადადებების ან ნებართვების წარმოდგენა, რომლებიც ცვლის სატენდერო წინადადებების ფასს ან შინაარსს, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ 15[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(21.12.2009 N5)*

**19. სატენდერო წინადადებების შერჩევა**

19.1 კონვერტების გახსნის შემდეგ სატენდერო კომისია ახორციელებს შერჩევას, რაც გულისხმობს საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და შედეგად იმ პრეტენდენტთა გამოვლენას, რომელთა სატენდერო წინადადებები დაიშვებიან შემდგომი შეფასებისათვის.

19.2 **ამოღებულია** *(1.10.2010 N 8)*

19.3 სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში _ ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს თავისი საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალ დადასტურებას;

გ) **ამოღებულია** *(1.10.2010 N 8)*

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

ზ) თუ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ფასი აღემატება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის შესახებ განცხადებაში მითითებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (ლოტების არსებობის შემთხვევაში, მათ შესაბამისად). (3.08.2010 N 5)

19.4 პრეტენდენტს უფლება აქვს დაესწროს შერჩევის პროცესს.

**20. ერთიან ვალუტაში გადაყვანა**

20.1 შედარებისა და შეფასების პროცედურის გაიოლების მიზნით შემსყიდველს, სატენდერო წინადადებების შეფასებამდე, სხვადასხვა ვალუტაში გამოხატული სატენდერო წინადადებების მოყვანილი ფასები, გადაყავს ლარებში, ს.მ.ნ.-ში მითითებული კურსით.

**21. სატენდერო წინადადებების შეფასება**

21.1 სატენდერო კომისია მოახდენს იმ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შეფასებას, რომლებიც გაივლიან შერჩევას და დაიშვებიან შეფასებისათვის; შეფასება უნდა განხორციელდეს ორი ალტერნატიული მეთოდიდან ერთერთის გამოყენებით. ერთ შემთხვევაში შეფასების პროცედურა ხორციელდება ამ ინსტრუქციის 21ე პუნქტის 21.221.8 პუნქტებით გათვალისწინებული მეთოდით. *(15.01.2009 N01)*

21.2 სატენდერო წინადადებების შეფასებას სატენდერო კომისია განახორციელებს ს.მ.ნ.-ში მითითებული კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით.

21.3 შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებების იმ მაჩვენებლებს, რომელთა შეფასების საფუძველზეც ხორციელდება პრეტენდენტების წინადადებების ურთიერთშედარება და გამარჯვებულის გამოვლენა. თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება 10 (ათ) ბალიანი სისტემით.

21.4 პრიორიტეტულობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ყველა კრიტერიუმის ჩამონათვალში თითოეული მათგანის ხვედრით წილის ციფრობრივ გამოსახულებას. ყველა კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტების ჯამი შეადგენს ერთ მთელს.

21.5 სატენდერო კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე წერილობითი ფორმით, ახორციელებს თითოეული სატენდერო წინადადების შეფასებას, რომლის დროსაც ყოველი კრიტერიუმის მიხედვით პრეტენდენტისთვის მინიჭებული ქულა მრავლდება ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტზე, ხოლო მიღებული ნამრავლების დაჯამებით გამოითვლება თითოეული სატენდერო წინადადების ჯამური შეფასება. სატენდერო კომისიის წევრები თავის წერილობით შეფასებაზე წერენ დასკვნას და ადასტურებენ ხელმოწერით. *(3.08.2010 N 5)*

21.6 პრეტენდენტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას სატენდერო კომისიის სიითი შემადგენლობის წევრთა უმრავლესობის დასკვნების საფუძველზე მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. *(3.08.2010 N 5)*

21.7 ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, უმაღლესი თანაბარი ქულების მქონე პრეტენდენტებს შორის გამარჯვებული გამოვლინდება სატენდერო კომისიის თავმჯდომარის წერილობითი გადაწყვეტილებით. *(3.08.2010 N 5)*

21.8 სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ ფორმდება ოქმის სახით და მისი შედეგები ეცნობება ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში. *(15.01.2009 N01)*

21.9 ამოღებულია *(15.01.2009 N01)*

21.10 მეორე შემთხვევაში შეფასების პროცედურა ხორციელდება შემდეგი ფორმულების გამოყენებით (სადაც Y წარმოადგენს ფორმულის შედეგად, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, პრეტენდენტის მისაღებ ქულას): *(15.01.2009 N01)*

ა) საუკეთესო პირობის წარმომდგენი პრეტენდენტის შემოთავაზება X 10

Y= ――――――――――――――――――――――――――

იმ პრეტენდენტის შემოთავაზება, ვისი ქულაც უნდა დადგინდეს

ბ) იმ პრეტენდენტის შემოთავაზება, ვისი ქულაც უნდა დადგინდეს X 10

Y= ――――――――――――――――――――――――――

საუკეთესო პირობის წარმომდგენი პრეტენდენტის შემოთავაზება

გ) (საუკეთესო პირობის წარმომდგენი პრეტენდენტის შემოთავაზება+100) X 10

Y =――――――――――――――――――――――――――――――

იმ პრეტენდენტის შემოთავაზება, ვისი ქულაც უნდა დადგინდეს+100 *(9.03.2009 N 03)*

21.11. 21.10 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმულის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფასებისას უპირატესობა ენიჭება უფრო დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს (მაგ. ფასი, შესრულების ვადა და სხვა), ხოლო ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმულის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეფასებისას უპირატესობა ენიჭება უფრო მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს (მაგ. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პერიოდი და სხვა), ხოლო "გ" ქვეპუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შეფასებას ექვემდებარება საავანსო ანგარიშსწორება. *(9.03.2009 N 03)*

21.12 შეფასებისას გამოყენებულ თითოეულ კრიტერიუმს უნდა გააჩნდეს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა ჯამურ შეფასებაში (პრიორიტეტულობის მაჩვენებელი), რომელიც უნდა გამოიხატოს კოეფიციენტის სახით. ამასთან, ყველა კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტების ჯამი უნდა უდრიდეს ერთ მთელს. 21,10 პუნქტით გათვალისწინებული ფორმულის გამოყენების შედეგად თითოეული პრეტენდენტისათვის მიღებული ქულა მრავლდება შეფასების კრიტერიუმისათვის განსაზღვრულ კოეფიციენტზე. *(15.01.2009 N01)*

21.13 გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც 21,12 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებისა და მიღებული მონაცემების დაჯამების შემდგომ მიიღებს საუკეთესო მაჩვენებელს. *(15.01.2009 N01)*

21.14 ამ შეფასების მეთოდით გათვალისწინებული პროცედურა აისახება სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ შეფასებაზე დამსწრე ყველა კომისიის წევრი. *(15.01.2009 N01)*

21.15 გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში სატენდერო კომისია აცნობებს შედეგებს ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს და იწვევს გამარჯვებულს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დასადებად. *(15.01.2009 N01)*

## 22. პრეტენდენტისა და შემსყიდველის ურთიერთობები

22.1 თუ რომელიმე პრეტენდენტი მიმართავს სატენდერო კომისიას სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების ან განმარტებისათვის, სატენდერო კომისიამ პასუხი უნდა აცნობოს ყველა პრეტენდენტს.

22.2 წინადადების გახსნის მომენტიდან ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მომენტამდე ტენდერის არც ერთ მონაწილეს არ უნდა ჰქონდეს კონტაქტი შემსყიდველთან მის სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი სატენდერო წინადადებების შერჩევის პროცესში თვითონ მიმართავს შესყიდვების მონაწილეს მის წინადადებაში არსებული გაუგებრობების დაზუსტების ან აღმოჩენილი უზუსტობების გამოსწორების მიზნით.

22.3 პრეტენდენტის ნებისმიერი მცდელობა, რაიმე ზეგავლენა მოახდინოს წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებულის გამოვლენასთან დაკავშირებული შემსყიდველის გადაწყვეტილებაზე, გამოიწვევს სატენდერო პროცედურებიდან ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

**23. შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება მოახდინოს სატენდერო პროცედურებში მონაწილე პირის დისკვალიფიკაცია**

23.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოახდინოს შესყიდვებში მონაწილე პირის დისკვალიფიკაცია სატენდერო პროცედურების ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე, თუ:

ა) ტენდერში მონაწილე პირის საკვალიფიკაციო მონაცემები ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს;

ბ) სატენდერო პროცედურებში მონაწილე პირი ვერ დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის (სატენდერო კომისიის) მოთხოვნას საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალ დადასტურებაზე;

გ) სატენდერო პროცედურებში მონაწილე პირი უარს განაცხადებს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში ან სატენდერო წინადადებაში სატენდერო კომისიის მიერ აღმოჩენილი უზუსტობების ან შეცდომების შესწორებაზე;

დ) სატენდერო პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, ან სატენდერო წინადადებაში მოყვანილი მონაცემები, ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ე) ტენდერში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას;

ვ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირი ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

ზ) თუ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ფასი აღემატება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის შესახებ განცხადებაში მითითებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (ლოტების არსებობის შემთხვევაში, მათ შესაბამისად). *(3.08.2010 N 5)*

23.2 შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ წერილობითი ფორმით ეცნობება დისკვალიფიცირებულ პირს დაუყონებლივ ან "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით განსაზღვრულ ვადებში.

23.3 დისკვალიფიცირებულ პირს უფლება აქვს მისი დისკვალიფიკაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების განხილვის თხოვნით მიმართოს შემსყიდველ ორგანიზაციას, მისი დისკვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდერული დღის განმავლობაში, ან გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ან სასამართლოში.

23.4 დისკვალიფიცირებულ პირს მის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის მიღების მიზნით შეუძლია მიმართოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

**24. სატენდერო პროცედურების შეჩერება ან შეწყვეტა** *(15.01.2009 N01)*

24.1 შემსყიდველს უფლება აქვს შეაჩეროს ან შეწყვიტოს სატენდერო პროცედურები, თუ ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

24.2 სატენდერო პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში სატენდერო კომისია აცნობებს ამის შესახებ სატენდერო პროცედურებში მონაწილე ყველა პირს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

24.3 შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს სატენდერო პროცედურებში მონაწილე პირებს დეტალური ინფორმაცია ან კონკრეტული მტკიცებულებანი, რის საფუძველზეც მოხდა სატენდერო პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ასევე აუნაზღაუროს მათ ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა სატენდერო მოსაკრებლისა.

24.4 შემსყიდველი, სატენდერო პროცედურების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პრეტენდენტებს უბრუნებს სატენდერო წინადადებებს, საკვალიფიკაციო მონაცემებს, თანხმლებ დოკუმენტებს და სატენდერო მოსაკრებელს.

24.5 თუ სატენდერო პროცედურების შეჩერების შემდეგ შემსყიდველი მიიღებს გადაწყვეტილებას იმავე ობიექტის შესყიდვაზე, იმავე წლის ასიგნებებით, ასეთ შემთხვევაში იგი განახორციელებს შესყიდვებს შეჩერებული პროცედურების გაგრძელების მეშვეობით და ამის შესახებ აცნობებს შეჩერებული პროცედურების მონაწილე ყველა პირს. თუ არც ერთი მონაწილე არ გამოთქვამს სურვილს განახლებულ ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, შემსყიდველი გამოაცხადებს ახალ ტენდერს.

### 25. პრეტენდენტისათვის შეტყობინების გაგზავნა ტენდერში გამარჯვების თაობაზე და მასთან ხელშეკრულების დადება

25.1 ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შემსყიდველი წერილობით აცნობებს ტენდერში გამარჯვებულ მონაწილეს ამის თაობაზე და იწვევს მას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

25.2 ტენდერში გამარჯვებულისათვის ხელშეკრულების დადების თაობაზე მოწვევის გაგზავნიდან არაუმეტეს 10 (ათი) დღის ვადაში დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, შემსყიდველსა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის.

25.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციის, გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

### 26. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

26.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულ ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ს.მ.ნ.-ში მითითებული სახით, ფორმითა და ოდენობით. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 1 000 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). დაწვრილებითი ინფორმაცია გარანტირების და/ან დაზღვევის ყველა პირობის, მისი მოქმედების ვადის, მისი დაკავებისა და უკან დაბრუნების წესის შესახებ აღწერილია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. *(3.08.2010 N 5)*

26.2 თუ მოხდება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შემსყიდველი დაუყოვნებლივ დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დამადასტურებელ საბუთებს.

### 27. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან

27.1 ანგარიშსწორება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისად.

27.2 ანგარიშსწორების განხორცილებამდე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესრულებული სამუშაოს შუალედური ანგარიში ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული სხვა დოკუმენტაცია.

27.3 თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მიმწოდებელთან შეიძლება განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის სატენდერო ფასის გარკვეული პროცენტის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იგივე ოდენობის გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. ინფორმაცია საავანსო თანხის პროცენტული ოდენობისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისად წარმოსადგენი გარანტიის ფორმის შესახებ ასახული იქნება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

27.4 წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელების შემთხვევაში მიმწოდებელი და მისი სუბკონტრაქტორები ვალდებულნი არიან შემსყიდველს წარუდგინონ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია ს.მ.ნ.-ში მითითებული წესით და გამოიყენონ წინასწარ მიღებული თანხები მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამუშაოების განსახორციელებლად.

27.5 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დავალიანების წარმოქმნის შემთხვევაში მისი დაფარვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 28. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

28.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას. გარდა საქარველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

28.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დასაშვებია ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. *(3.08.2010 N 5)*

28.3 ფასის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და ახალი ფასის გაანგარიშებისას მხედველობაში მიღებულ იქნება ხელშეკრულებაში მითითებული გარემოებების ზეგავლენის დონე შესყიდვის ობიექტის ფასზე, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა,

ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის დონე, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, სამეწარმეო აქტიურობის ინდექსი და სხვა ფაქტორები. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა გაფორმდება დოკუმენტურად.

28.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების გადასინჯვის წესი განსაზღვრულ იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 29. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

29.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, შესასრულებელი ან შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების და მიღება_ჩაბარების აქტების გაფორმების და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების საკითხებში მიმწოდებელთან ითანამშრომლებს შემსყიდველის მიერ ამისათვის სპეციალურად შექმნილი ჯგუფი.

29.2 კონკრეტული ინფორმაცია შემსყიდველის მიერ სამუშაოს ხარისხისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების ადგილის, გრაფიკის, ასევე ინსპექტირების განმახორციელებელი პირების და ინსპექტირების პროცესში მიმწოდებლის მოვალეობების შესახებ მოცემულია ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკურ პირობებში;

29.3 სამუშაოების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმებამდე შემსყიდველი ორგანიზაცია, ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ ადგილას და სახით, ჩაატარებს შესრულებული სამუშაოების საბოლოო შემოწმებას, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან, ხელშეკრულების პირობებთან, ნიმუშებთან, არსებულ სტანდარტებთან. საბოლოო შემოწმების პროცესში ხელშემკვრელ მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები.

29.4 საბოლოო შემოწმების შედეგები ეცნობება მიმწოდებელს წერილობითი სახით დაწუნებული სამუშაოების მოცულობის და წუნდების მიზეზების მითითებით.

29.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილ სპეციალურ ჯგუფს შორის წარმოიშობა უთანხმოება, იგი უნდა გადაწყდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და მიმწოდებელს შორის უთანხმოების განხილვის მეშვეობით, ხოლო ამ გზით საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით.

## 30. არშემდგარი და უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერი

30.1. ტენდერი ითვლება არშემდგარად თუ დადგენილ ვადებში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება;

30.2 ტენდერი ითვლება დასრულებულად უარყოფითი შედეგით, თუ: *(3.08.2010 N 5)*

ა) არც ერთი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს;

ბ) თუ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ფასი აღემატება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის შესახებ განცხადებაში მითითებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (ლოტების არსებობის შემთხვევაში, მათ შესაბამისად).

30.3 ტენდერი გამოცხადდება არშემდგარად, თუ დადგენილ ვადებში ღია ტენდერის დროს არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი სატენდერო წინადადება და/ან საკვალიფიკაციო მონაცემი.

30.4 ტენდერი ითვლება დასრულებულად უარყოფითი შედეგით, თუ: ა) არც ერთი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს;

გ) წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასებიდან არც ერთი არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის ფინანსურ შესაძლებლობებს.

## 31. გასაჩივრების წესი

31.1 ტენდერში მონაწილე პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ შემსყიდველი ორგანიზაციის (სატენდერო კომისიის) ქმედებები "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 23-ე მუხლისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების VII თავის შესაბამისად, თუ ჩათვლიან, რომ ტენდერის განხორციელების პროცესში დარღვეულ იქნა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით დადგენილი წესები და/ან შელახულ იქნა მათი უფლებები. *(27.01.2009 N 2)*

## საბაზისო მონაცემთა ნუსხა

**ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატრიული კვლევების მომსახურება (მრავალწლიანი)**

| საბაზისო მონაცემთა ნუსხის პირველ სვეტში მოცემულია ყოველი მონაცემის ის შესაბამისი მუხლი, რომელიც ასახულია ინსტრუქციაში ტენდერში მონაწილეთათვის (ი.ტ.მ.); | |
|---|---|
| ი.ტ.მ.1.1 | შემსყიდველი ორგანიზაცია: **გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა** |
| ი.ტ.მ.1.1 | სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: **გლდანი-ნაძალადევის რ-ნის ადგილობრივი ბიუჯეტი** |
| ი.ტ.მ.4.1 | სატენდერო კომისიის შემადგენლობაა:<br>**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე -** ნ. სანდუხაძე – გამგებელი<br>**წევრები:** ვ. გოგუაძე – გამგებლის მოადგილე;<br>ლ. დემეტრაშვილი – გამგებლის მოადგილე;<br>ვ. ნინიკელაშვილი – გამგებლის მოადგილე;<br>ბ. არველაძე – გამგეობის აპარატის უფროსი |
| ი.ტ.მ.4.1 | სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:<br>**აპარატის ხელმძღვანელი** – ნ. სანდუხაძე<br>**აპარატის წევრები:** მ. ჯაშიაშვილი – მთ. სპეციალისტი, იურისტი;<br>ნ. კიკვაძე–საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთ. სპეციალისტი;<br>ნ. ლომჯარია –საბინაო-კომუნალური გან-ბის მთ. სპეციალისტი,<br>დ. კვინტრაძე - საბინაო-კომუნალური გან-ბის მთ. სპეციალისტი<br>გ. ჟორჟოლიანი – საბინაო-კომუნალურ გ-ში მშენებლობის ტექ. ზედამხედველი |
| ი.ტ.მ.5.3 | სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალი:<br>1. ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ (დან. №1);<br>2. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დან.№2);<br>3. ინფორმაცია 2009 და 2010 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ; (დან.№3);<br>4. ინფორმაცია სუბკონტრაქტორთა შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში დან. №4) |
| ი.ტ.მ.8.1 | სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია აგრეთვე შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგ ენაზე (ენებზე): **ქართული** |
| ი.ტ.მ.9.1 | პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:<br>***ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, აფიდავიტის შევსებული ფორმა, კერძოდ:***<br>**1. იურიდიული პირისათვის:**<br>ა) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;<br>ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;<br>გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.<br>დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.<br>ე) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირების რეესტრიდან.<br>**2. ფიზიკური პირისათვის:**<br>ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;<br>ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ:<br>გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.<br>**3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**<br>ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური |

| | |
|---|---|
| | აღჭურვილობა; (დანართით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში ან ლიზინგით (წარმოდგენილ უნდა იქნას ტექნიკის საკუთრების ან ლიზინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია);<br>შენიშვნა: პრეტენდენტს საკუთრებაში ან ლიზინგით თუ არ ექნება სატენდერო დოკუმენტაციის დანართით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;<br>ბ) ინფორმაცია 2009 და 2010 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;<br>გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ:<br>დ) ინფორმაცია სუბკონტრაქტორთა შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში (დანართი №3).<br>ე) სატენდერო წინადადების შევსებული ფორმა;<br>ვ) აფიდავიტის შევსებული ფორმა;<br>ზ) მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების და ხარჯთაღრიცხვის ფორმის შესაბამისად);<br>თ) მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი;<br>(ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული 3 /სამი/ ეგზემპლიარად 1-დედანი, 2-ასლი – 1 კონვერტში) |
| ი.ტ.მ.9.3 | პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს **1 (ერთი)** სატენდერო წინადადება **1 (ერთი)** კონვერტად. |
| ი.ტ.მ.11.1 | **სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.** |
| ი.ტ.მ.11.2 | სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია **ლარებში.** |
| ი.ტ.მ.12.1 | სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა _ **სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს მისი წარმოდგენიდან (იხ. 14.2) არანაკლებ 30 დღის განმავლობაში** |
| ი.ტ.მ. 13.1 | ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის შემდეგი ფორმის გარანტია: **საბანკო ან სადაზღვევო გარანტია, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.** |
| ი.ტ.მ.13.1 | სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობაა: **სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტი** |
| ი.ტ.მ.14.2 | სატენდერო წინადადებები საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად უნდა წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას არაუგვიანეს შემდეგი დროისა:<br>**2010 წლის 02 დეკემბრის 11:00 საათიდან 2010 წლის 02 დეკემბრის 13:15 საათამდე** |
| ი.ტ.მ.14.2 | სატენდერო წინადადებები საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე:, **ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, ქ.თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.** |
| ი.ტ.მ.14$^{1}$.1 | ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი და დრო:<br>**2010 წლის 06 დეკემბერის 15:30 საათი** |
| ი.ტ.მ.17.1 | სატენდერო წინადადებები გაიხსნება შემდეგ მისამართზე:<br>**ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, ქ.თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.** |
| ი.ტ.მ.17.1 | სატენდერო წინადადებები გაიხსნება შემდეგ დროს:<br>**2010 წლის 02 დეკემბერს 13:15 საათზე** |
| ი.ტ.მ.20.1 | სატენდერო წინადადებების შეფასებისათვის სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული წინადადებები გადაყვანილ იქნება ლარებში შემდეგი კურსით: **არ გამოიყენება** |

<table>
<tr><td>ი.ტ.მ. 21.11</td><td>
სატენდერო წინადადებების შეფასებას სატენდერო კომისია განახორციელებს შემდეგი ფორმულების და შემდეგი კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით: (სატენდერო წინადადების შეფასების დამატებითი, განსხვავებული მეთოდი):
ა) = საუკეთესო პირობის წარმომდგენი პრეტენდენტის შემოთავაზება x 10<br>იმ პრეტენდენტის შემოთავაზება ვისი ქულაც უნდა დადგინდეს
ბ) = იმ პრეტენდენტის შემოთავაზება ვისი ქულაც უნდა დადგინდეს x 10<br>საუკეთესო პირობის წარმომდგენი პრეტენდენტის შემოთავაზება
<table>
<tr><th>№</th><th>შეფასების კრიტერიუმები</th><th>პრიორიტეტულობის კოეფიციენტი</th></tr>
<tr><td>1</td><td>სატენდერო წინადადების ღირებულება (შეფასდება ი.ტ.მ. 21.11. გათვალისწინებული ა) ფორმულის მიხედვით</td><td>0.8</td></tr>
<tr><td>2</td><td>გამოცდილება (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა) (შეფასდება ი.ტ.მ. 21.11. გათვალისწინებული ბ) ფორმულის მიხედვით</td><td>0.2</td></tr>
<tr><td></td><td>სულ:</td><td>1,0</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>ი.ტ.მ. 26.1</td><td>ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: გარანტირება</td></tr>
<tr><td>ი.ტ.მ. 26.1</td><td>ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ფორმით - საბანკო გარანტია.<br>(საბანკო გარანტია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ბანკიდან ან სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან ან სადაზღვევო ორგანიზაციიდან)</td></tr>
<tr><td>ი.ტ.მ. 26.1</td><td>ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%.</td></tr>
<tr><td>ი.ტ.მ. 27.4</td><td>წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას გარანტია შემდეგი ფორმითა და ოდენობით: არ გამოიყენება</td></tr>
</table>

შენიშვნა:
ა) პრეტენდენტის (იურიდიული პირის შემთხვევაში სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით გათვალისწინებული წარმომადგენლობაზე განსაზღვრული პირის მიერ)(ფიზიკური პირის შემთხვევაში ფიზიკური პირის მიერ) მიერ ყველა ხელმოწერა წარმოდგენილ სატენდერო მასალებზე უნდა იყოს გაკეთებული პირადად ან წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ;

**ბ) ტენდერზე წარმოდგენილი მასალები უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული** 3 /სამი/ ეგზემპლიარად 1-დედანი, 2-ასლი – 1 კონვერტში;

**გ)** თუ პრეტენდენტი აპირებს **სუბ-კონტრაქტორის** აყვანას, მან უნდა წარმოადგინოს სატენდერო განცხადებასა და ს.მ.ნ-ი.ტ.მ 9.1. პუნქტის 1,2,3 ქვეპუნქტებში მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები და ინფორმაცია **სრული მოცულობით სუბ-კონტრაქტორზეც;**
დ)სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით (დალუქული კონვერტით) 2010 წლის 02 დეკემბრის 11:00 საათიდან 2010 წლის 02 დეკემბრის 13:15 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ქ. შარტავას ქუჩა №7, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**შეფასება განხორციელდება სატენდერო წინადადების შეფასების დამატებითი, განსხვავებული მეთოდით:**

**1. სატენდერო წინადადების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება საუკეთესოს ფასის წარმომდგენს;**
**2. გამოცდილების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება პრეტენდენტის მიერ განხორციელებულ ან მიმდინარე ანალოგიური მომსახურების (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის) ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების უფრო მაღალ ციფრობრივად გამოსახულ მონაცემს;**

**ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევების მომსახურება (მრავალწლიანი)**

**გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი**

**ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზა, ასევე მშენებლობის ზედამხედველობა და ლაბორატორიული კვლევა.**

***შენიშვნა:*** *გასაწევი მომსახურების (ქ. თბილისის ფარგლებში) კონკრეტული მოცულობა და მომსახურების გაწევის კონკრეტული ვადები შემსყიდველის მიერ (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) ეცნობება მიმწოდებელს;*

შენიშვნა: *ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტები და ტექნიკური დავალებები ექსპერიზისთვის ეტაპობრივად გადაეცემა მიმწოდებელს;*

შენიშვნა: *კონკრეტული ობიექტი და შესრულების ვადა, სადაც უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა და ლორატორიული კვლევა შემსყიდველის მიერ (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) ეცნობება მიმწოდებელს;*

**ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევების მომსახურება (მრავალწლიანი)**

**მომსახურების გაწევის ვადები**

**მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა – ეტაპობრივად, შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) მოთხოვნის შესაბამისად, 2011 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.**

*შენიშვნა: გასაწევი მომსახურების (ქ. თბილისის ფარგლებში) კონკრეტული მოცულობა და მომსახურების გაწევის კონკრეტული ვადები შემსყიდველის მიერ (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) ეცნობება მიმწოდებელს;*
*შენიშვნა: ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტები და ტექნიკური დავალებები ექსპერიზისთვის ეტაპობრივად გადაეცემა მიმწოდებელს;*

*შენიშვნა: კონკრეტული ობიექტი და შესრულების ვადა, სადაც უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა და ლორატორიული კვლევა შემსყიდველის მიერ (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) ეცნობება მიმწოდებელს;*

**ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტები და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატრიული კვლევების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა**

**ტექნიკური დავალება**

1. **ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზა და მათი ანალიზი:**

- გრაფიკული ნაწილის შემოწმება და მისი რეალურ პირობებთან შესაბამისობის შედარება.
- ობიექტზე გეოდეზიური მონაცემების სისწორის შემოწმება.
- დეფექტურ აქტებში მოცემული სამუშაოების და სამშენებლო მასალების მოცულობების შემოწმება.

2. **ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების ყოველდღიური ტექნიკური ზედამხედველობა:**

- გზების მიმდინარე შეკეთების ტექნიკური ზედამხედველობა;
- საინჟინრო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობა (საყრდენი კედლები, კოლექტორები, სადრენაჟო და სანიაღვრე ქსელები და სხვა);

3. **ობიექტზე გამოყენებული ინერტული მასალის ლაბორატორიული კონტროლი:**

– ინერტული მასალის პარამეტრების შემოწმება ვიზუალური მეთოდით;
– საფუძვლის ცალკეული კონსტრუქციული ფენების დრეკადობის მოდულის განსაზღვრა (ყოველი ფენის 4000მ -ზე, მინიმუმ სამი ადგილი);

4. **ობიექტზე მოწყობილი ასფალტის საფარის ხარისხის კონტროლი ყოველ მოწყობილ კონსტრუქციულ ფენაზე:**

– ასფალტის ფენის (ფენების) სისქის შემოწმება (500-დან 7000 $მ^2$-ზე მინიმუმ ორ ადგილზე, 50მმ კერნით)

5. **მშენებარე ობიექტზე გამოყენებული ბეტონის ხარისხის კონტროლი:**

– სიმტკიცეზე ბეტონის ნიმუშის შემოწმება, (ობიექტის სირთულის და სპეციფიკაციის შესაბამისად დღეში მინიმუმ 3 ნიმუშის აღება);
– ბეტონის ნარევის კონუსის ჯდენის განსაზღვრა (ობიექტის სირთულის და სპეციფიკაციის შესაბამისად დღეში მინიმუმ 1 ცდა);

6. **მშენებლობის უსაფრთხოების დაცვის კონტროლი;**

7. ასფალტის ნარევის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიული მომსახურება მიმდინარე შეკეთების ობიექტებზე:

- მინერალური (ინერტული) მასალის გრანულომეტრიის შემოწმება (7000 მ$^2$- მდე 1 ცდა ყოველ მოწყობილ ფენაზე);
- შემკვრელის (ბიტუმის) რაოდენობის შემოწმება (7000 მ$^2$-მდე 1 ცდა ყოველ მოწყობილ ფენაზე);
- ექსტრაგირების შედეგად მიღებული ბიტუმის დარბილების ტემპერატურის შემოწმება ბურთულა და რგოლის მეთოდით (7000 მ$^2$-მდე 1 ცდა ყოველ მოწყობილ ფენაზე);
- ლაბორატორიული (მარშლის) ნიმუშის მოცულობითი მასის და ფორიანობის შემოწმება (7000 მ$^2$-მდე 1 ცდა ყოველ მოწყობილ ფენაზე);

8. შესრულებული სამუშაოთა მოცულობების კონტროლი, დადგენა და შესრულებული სამუშაოთა აქტის (ფორმა №2) დადასტურება.

| ხარჯთაღრიცხვა | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | სამუშაოს დასახელება | განზომილება | მოცულობა (თანხა) | შესას. სამუშაოების ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 6 |
| 1 | ორმოული შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაბამისი დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზა, ტექნიკური და მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევის მომსახურება, შესრულებული სამუშაოთა აქტის (ფორმა №2) დადასტურება. | ლარი | 1,920,000.00 | |
| 2 | ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის შესაბამისი დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზა, ტექნიკური და მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევის მომსახურება, შესრულებული სამუშაოთა აქტის (ფორმა №2) დადასტურება. | ლარი | 291,000.00 | |
| 3 | წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაბამისი დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზა, ტექნიკური და მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევის მომსახურება, შესრულებული სამუშაოთა აქტის (ფორმა №2) დადასტურება | ლარი | 288,000.00 | |
| | ჯ ა მ ი | | 2,499,000.00 | |
| | დ.დ.გ – 18% | | | |
| | ს უ ლ | | | |

**აფიდავიტი**
**სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

მე, ქვემოთ ხელმომწერი,_______________________________________________
*(სახელი, გვარი, პ/ნ)*
_______________________________________________________________*სახელით,*
*(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)*

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _______________________________________________________

__________________________________________________________________________________
*(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)*

მის
მიერ________________________________________________________________________________
*(ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)*

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
ა) სატენდერო წინადადების ფასი;
ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.
ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

__________________________________________________________________________________
*(პრეტენდენტის რეკვიზიტები)*

__________________________________________________________________________________
*(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა, ბეჭედი)*

__________________________________________________________
*(თარიღი)*

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

## სატენდერო წინადადება

*თარიღი:-------------*

ვის: ------------------------------------------------------------------------------------------------

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: ---------------------------------------------------------------------------------------------

(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევისწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია ყველა დანართის ჩათვლით (------- ), თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ

**ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევების მომსახურება (მრავალწლიანი)**

გაწევა და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:

| შესყიდვის ობიექტის დასახელება | ფასი ციფრებით | ფასი სიტყვიერად |
|---|---|---|
| ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურება (მრავალწლიანი) | | |

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ მომსახურების გაწევა ------------- დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ „ხელშეკრულება“) ძალაში შესვლიდან -------------- დღის განმავლობაში (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად აქ შეიძლება ჩაიწეროს მომსახურების გაწევის გრაფიკი ან დაწყება-დასრულების კონკრეტული თარიღი).

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენი სატენდერო წინადადება უზრუნველყოფილია გარანტიით ---------------------------------

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება ----------------------------------------------------

შემდეგ თანხაზე: ------------------------------------------------------------------------------------

(ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია --------------- დღის განმავლობაში, დაწყებული შემდეგი თარიღიდან: ------------------------------------------------------------------------

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):*

1.

2.

3.

---------------------------------------------------------

(ხელმოწერა) (თანამდებობა)

------------------------------------------------------------------------------------------------------

(პრეტენდენტის დასახელება)

* სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია, მასალები, ცნობები, მომსახურების გაწევის მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა (საჭიროებისამებრ – ნახაზები, სქემები და ა.შ.).

## სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტიის შემთხვევაში)

ვითვალისწინებთ რა, რომ -------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

(პირი, რომელზეც გაიცემა საგარანტიო წერილი)

(შემდგომში "პრეტენდენტი") მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------- სატენდერო კომისიის მიერ

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

---------------------------------------------------------------------შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის

(შესასყიდი მომსახურების დასახელება)

მისაღებად, ჩვენ -----------------------------------------------------------------------------------------------(შემდგომში "ბანკი")

(ბანკის დასახელება)

*ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ*

ვიღებთ ვალდებულებას ------------------------------ (შემდგომში "შემსყიდველი")

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველვყოფთ შემსყიდველისათვის --------------------------------------------------- გადახდას

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

*შემდეგ შემთხვევებში:*

1. თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტია ძალაში რჩება ----------------------მდე* .

(თარიღი)

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

-----------------------------------------------

(ხელმოწერა)

-----------------------------------------------

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დამოწმებულია ბანკის ბეჭდით ----- ------------- 200--- წ.

*გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე 30 კალენდარული დღით მეტი.

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2010 წლის -------------------, ერთის მხრივ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, წარმოდგენილი ---------------------------------- სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ --------------------------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:
შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი:

**ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურება (მრავალწლიანი**

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება ---------------------------------------------------------- მომსახურების გაწევაზე შემდეგ თანხაზე: -------------------------------------------------- ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

## წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2.ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, მომსახურების გაწევის გრაფიკი და სატენდერო წინადადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;
გ) გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი;
დ) მომსახურების გაწევის ვადები;
ე) ტექნიკური დავალება;
ვ) ხელშეკრულების საერთო პირობები;
ზ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
თ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 2%-იანი საბნკო გარანტია;

3.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**"შემსყიდველი"** **"მიმწოდებელი"**

----------------------------------------------- -------------------------------------------------

## ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენენ სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას. ნებისმიერი განსხვავებული პირობები და დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს შეტანილი მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

**ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

### 3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

### 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

### 5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადებში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

### 6. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

6.1 მიმწოდებლი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

**7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.5 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

**8. გარანტია**

8.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

8.2 ამ გარანტიის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

**9. ანგარიშსწორება**

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

9.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

**10. ანგარიშსწორების ვალუტა**

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).

10.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

**11. ფასები**

11.1 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, ან ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით.

**12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**13. უფლებების გადაცემა**

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**14. სუბკონტრაქტორები**

14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

**15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

**16. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

16.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. *(3.08.2010 N 5)*

16.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

16.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

**17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

17.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

17.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

18.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

18.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 19. ფორს-მაჟორი

19.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

19.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

19.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

20.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 21. გამოყენებული სამართალი

21.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 22. ხელშეკრულების ენა

22.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 23. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

23.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

23.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 24. გადასახადები და ბაჟები

24.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

24.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ზეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

შემსყიდველი: ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა;

მიმწოდებელი:

**2. ხელშეკრულების საგანი**

**ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევების მომსახურება (მრავალწლიანი)**

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება:

| შესყიდვის ობიექტის დასახელება | ფასი ციფრებით | ფასი სიტყვიერად |
|---|---|---|
| ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, ასევე მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევების მომსახურება (მრავალწლიანი) | | |

**4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (4)**

4.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის თანამშრომლები.

**5. მომსახურების გაწევის პირობები (5)**

5.1.მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად, 01.01.2011წ-დან 31.12.2011წლამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
5.2.მომსახურება განხორციელდება შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) მოთხოვნის საფუძველზე;
5.3. ~~*გასაწევი მომსახურების (ქ. თბილისის ფარგლებში) კონკრეტული მოცულობა და მომსახურების გაწევის კონკრეტული ვადები შემსყიდველის მიერ (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) ეცნობება მიმწოდებელს;*~~
~~*5.4. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გზების ორმოული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტები და ტექნიკური დავალებები ექსპერიზისთვის ეტაპობრივად გადაეცემა მიმწოდებელს;*~~
~~*5.5. კონკრეტული ობიექტი და შესრულების ვადა, სადაც უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა და ლორატორიული კვლევა შემსყიდველის მიერ (წარმოდგენილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სახით) ეცნობება მიმწოდებელს;*~~

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი (7)**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.1 მუხლში მითითებული პირები).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

**7.მომსახურების გარანტია (8)**

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება განხორციელდება მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით და ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
7.2.შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის შედეგად რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
7.3.შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 2 კალენდარული დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

**8. ანგარიშსწორება (9)**

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
8.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
8.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის მიხედვით;
8.4. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში,** საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;**

**9.ფასები (11)**

9.1.ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
10.2 შემსყიდველი ვალდებულია:
10.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
10.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
10.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
10.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
10.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
10.3.2.მიიღოს მიმწოდებლისგან ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისი მომსახურება.
10.3.3.საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
10.4.მიმწოდებელი ვალდებულია:
10.4.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
10.4.2.დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.4.3. მომსახურების გაწევის პროცესში რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
10.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
10.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

**11.ხელშეკრულების შესრულების გარანტია (16)**

11.1. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **5%**-ის ოდენობით, რის შესაბამისად წარმოდგენილია ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

| № | თარიღი | თანხა, ლარი | გარანტიის გამცემი დაწესებულება | მოქმედების ვადა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაწყება | დამთავრება |
| | | | | | |

11.2.მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს მომსახურების დასრულების ვადას.
11.3.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).
11.4.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის მოთხოვნით უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.
11.5.მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

**12.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (17)**

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შემსყიდველის მიერ მითითებულ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.
12.2.თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე- მუხლის 4.4 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

**13.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო (18)**

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

**14. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“) (19)**

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.
14.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
14.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

**15. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

მომსახურების გაწევის ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით, "ფორს-მაჟორული“ სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

**17. სადაო საკითხები (20)**

17.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლპარაკების საფუძველზე.
17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**18. სხვა პირობები**

18.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
18.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
18.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
18.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
18.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

---

*ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს შეიმუშავებს შემსყიდველი ორგანიზაცია. მათი შედგენის საფუძველს წარმოადგენენ ხელშეკრულების საერთო პირობები, წინამდებარე ინსტრუქცია და შემსყიდველის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი მომსახურების გაწევა. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიზანია ყოველი შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების კონკრეტიზაცია, ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება და დაზუსტება.*

*ხელშეკრულების სპეციფიკურ და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციფიკური პირობების შესაბამის მუხლებს.*

## ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
## (საბანკო გარანტია)

ვის: ------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ -----------------------------------------------------------------------------------------------
-

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში “მიმწოდებელმა” ------------------------------------------------------------ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში Mმითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

-----------------------------------------------------------------
--

-----------------------------------------------------------------

(თარიღი)

-----------------------------------------------------------------

(მისამართი)

დანართი №1

# ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

| ფუნქცია | პროფესია | გამოცდილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

## დანართი №2

| № | აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოთხოვნა |
|---|---|
| 1. | ასფალტანალიზატორი (ასფალტის შემადგენელი კომპონენტების განცალკევების ფუნქციით) |
| 2. | მარშალის კომპაქტორი |
| 3. | მარშალის უნივერსალური წნეხი |
| 4. | ბურთულა და რგოლის ხელსაწყო |
| 5. | ციფრული პენეტრომეტრი |
| 6. | ბიტუმის სიმყიფის განმსაზღვრელი ხელსაწყო |
| 7. | ელექტრო ვიბრატორული საცრების 2 კომპლექტი |
| 8. | ლაბორატორიული ელექტრო სასწორი 4 ერთეული |
| 9. | ა/ბ-ის ნარევის დამამზადებელი ამრევი (მიქსერი) |
| 10. | ლოსანჯელესის მანქანა |
| 11. | 3 ცალი ციფრული საშრობი კარადა |
| 12. | 2 ცალი ციფრული წყლის აბაზანა თერმოსტატით |
| 13. | კერნის ამოსაღები მოძრავი დანადგარი (Ø50მმ-დან Ø300მმ-მდე ამოჭრის შესაძლებლობით) |
| 14. | პროქტორის დანადგარი |
| 15. | ხელის დინამიური დეფლექტომეტრი GPS-ით |
| 16. | კომპიუტერული ტექნიკა 12 ერთეული |
| 17. | ლაზერული თერმომეტრი |
| 18. | ციფრული ელექტრო თერმომეტრი |
| 19. | პროფილოგრაფი (განივი პროფილის საზომი ხელსაწყო) |
| 20. | პლანოგრაფი (გრძივი სისწორის საზომი ხელსაწყო) |

დანართით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში ან ლიზინგით (წარმოდგენილ უნდა იქნას ტექნიკის საკუთრების ან ლიზინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

შენიშვნა: პრეტენდენტს საკუთრებაში ან ლიზინგით თუ არ ექნება სატენდერო დოკუმენტაციის დანართით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია

დანართი №3

ინფორმაცია 2009 და 2010 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის) შესახებ;

*წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმით:*

| № | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3.<br>№ | | | | | |

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის
(ფიზიკური ან იურიდიული პირი)
ხელმძღვანელის ხელმოწერა ---------------------------------

ბ.ა.

**დანართი №4**

## ინფორმაცია სუბ-კონტრაქტორთა შესახებ

*(სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში)*

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების პროცესში ჩვენ ვაპირებთ შემდეგი სუბ-კონტრაქტორის ჩართვას:

| სუბ-კონტრაქტორი | ხელმძღვანელი | სუბკონტრაქტორის ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1.______________ | ______________ | ______________ |
| 2.______________ | ______________ | ______________ |
| №.______________ | ______________ | ______________ |

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის
(ფიზიკური ან იურიდიული პირი)
ხელმძღვანელის ხელმოწერა ---------------------------------

ბ.ა.

---

**დანართი №4**

## ინფორმაცია სუბ-კონტრაქტორთა შესახებ

*(სუბ-კონტრაქტორის არარსებობის შემთხვევაში)*

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების პროცესში ჩვენ არ ვაპირებთ სუბ-კონტრაქტორის ჩართვას:

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის
(ფიზიკური ან იურიდიული პირი)
ხელმძღვანელის ხელმოწერა ---------------------------------

ბ.ა.